სამშაბათი, 8 ივნისი, 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904 სამშაბათი 8 ივნისი, 1904 წ.

ივერია

№ 132 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 132

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ფასი:

12	თვით	10 მ.	— კ.
11	,,	9 ,,	50 ,,
10	,,	8 ,,	75 ,,
9	,,	8 ,,	— ,,
8	,,	7 ,,	25 ,,
7	,,	6 ,,	50 ,,
6	,,	6 ,,	— ,,
5	,,	5 ,,	50 ,,
4	,,	4 ,,	75 ,,
3	,,	3 ,,	50 ,,
2	,,	2 ,,	75 ,,
1	,,	1 ,,	50 ,,

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

რედაქციისაგან

პირველ თიბათვიდგან წლის დამლევადე გაზეთი „ივერია“ ჰღირს 6 მან. 50 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს ქალაქში 3 მან. და ქალაქ გარედ 4 მან.

ვისაც გაზეთის ფული სრულად არა აქვთ შემოტანილი, რედაქცია სთხოვს წარმოადგინოს დანარჩენიც რომ გაზეთის გზავნა არ მოესპოს.

საუკეთესო სააგარაკო ადგილები

ზედ სურამის მახლობლად

მაღლობს და ტყით შემოსილ მთებ შორის, სხვა და სხვა ზომისა,

ისყიდება

იაფად და ხელ-მისაწვდომ ფასად.

იკითხეთ „ივერიის“ რედაქციის კანტორაში. (10—5)

გამოვიდა და ისყიდება დიდი სურათი

ჯგუფი

ქართველთ მწერლებისა

(მესამე გამოცემა).

ტარ. მომცელიძისა.

ფასი თითო სურათისა 75 კაპ. ქალაქ გარეთ გაგზავნას ფას დადებითაც ვკისრულობთ, მხოლოდ არა ნაკლებ ხუთის ცალისას.

ადრესი: **въ Тифлисъ, Эриванск. пл., д. Харазовой, Тарасію Момцеидзе.** (წლ.).

ახალი წიგნი

ს. ს. მელიქ-ადამოვი

ნაფიცი ვექილი

პრაქტიკული სახელმძღვანელო

სამოქალაქო სამართლის საქმეთა წარმოების ქაღალდების შესადგენად ამიერ-კავკასიაში,

ПРАКТИЧЕСКОЕ РУКОВОДСТВО

для составленія бумагъ по дѣламъ Гражданскаго Судопроизводства въ ЗАКАВКАЗСКОМЪ КРАѢ.

ფასი 1 მან.

ისყიდება ტფილისში: წიგნების ცენტრალურ სავაჭროში და ხიდიკელის და გუტენბერგის მაღაზიებში. ვინც ავტორისაგან დაიბარებს 10 ეგზემპლიარზედ მეტს 10 % დაეთმობათ და გასაგზავნ ფასსაც არ გადაიხდიან.

გამოვიდა დ ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

ღალატი

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,

ავტორის სურათით და წინასიტყვაობით.

თარგმანი გრ. ყიფშიძისა.

გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.

ფასი ერთი მანეთი

„ივერიის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათს ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალეთმობა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

ამ პიესას წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად სცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აკრძალულია.

იძლევა ქირით

ქართული თეატრი

თავის მოწყობილობით. ყოველი ცნობების შეტყობა შეიძლება სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა შენობაში, სადაც მოთავსებულია მამულების გამგე მმართველობის კანტორა. (10—1).

ვიღებ საეკლესიო პანკელე-ჰის სამხატვრო საქმეებს.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ შემდეგის ადრესით: სოფელი ჰრიუტი, ტფილისის მაზრა, მღვდელს მელიტონ ჟანჩაველს. (15—7)

ღარიბ მოწაფეთა შემწეობისათვის ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების

გამგე კომიტეტი

აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ **კვირას, ივნისის ექვსსა**, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის სადგომში, **საღამოს რვა საათზედ**, დანიშნულია **განმეორებით** მაისის 20 დღის საზოგადო კრებისა. (2—6—2).

გამოვიდა და ისყიდება

კატალოგი

წარმოსადგენად ნება-დართულ ქართულ პიესებისა.

ფასი 15 კაპ.

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგარდოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვილს (3—3)

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი სთხოვს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთ მობრძანდნენ

საგანგებო საგუბერნიო კრებაზედ,

რომელიც დანიშნულია 12 ივნისისათვის 1904 წლ. დღისით 1 საათზედ თ-დ ქობულოვის სახლებში (არშაკუნიანისეული, გრიბოედოვის ქუჩაზედ) ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მოგების გასანაწილებლად შედგენილ პროექტის განსახილველად და დასამტკიცებლად. (3—6—3).

ისყიდება

პრიუტთან ახლოს მამული: სახნავი, საძოვარი, სათიბი და ტყე საუკეთესო წყაროებით. წლიური შემოსავალი აქვს 400 მან., აგრეთვე მსურს გავყიდო სოფელს ტყვიავში (გორის მაზრა) ექვსი დესეტინა: ახლად გაშენებული ბაღი, სახლკარი და სახნავი მამულები. მსურველს შეუძლიან ცნობების შეტყობა ქ. ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ სათავად-აზნაურო სახლი **გრიგოლ კორინთელთან**. (5—5).

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართველთ შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

ქაჭანა

2.

ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ტყასდადებითაც შემდეგის ადრესით: **Тифлисъ. Общество распрстр. грамотности.**

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

გულივერის მოგზაურობა

სვიფტისა, მრავალის სურათით. 16° გვ ფასი 30 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება

შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

ქართული რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა».

ფასი სამი შაური.

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (**Набережная**) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ა. ნ. დიასამიძე. 11—12 საათ.

ა. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ა. ი. ბალარჯიშვილი. ბავშვებისა, 9—10 ს.

ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვების და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

ზრ. ვ. სობოლევსკი— დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

პ. ა. ბეიერი. შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.)

ქართველნი მკურნალნი:

გედევანიშვილი მიხეილ,—ეორდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

გძელიშვილი კონსტანტინე ელისაბედის ქუჩა. სახლი მიღოვისა. № 5

ბაბაშვილი გრიგოლ,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ვაჩაძე სპირიდონ. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

მარიამ ნიკოლოოზის ასული ზაალიშვილისა, მიხეილის პროსპექტი, № 145.

დიასამიძე ალექსანდრე,—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვისა, № 123.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

უ. გ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

გ. სოლოლაშვილი. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

ზ. ს.ე ლვი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ფჩელბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

მ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

უმაღლესი ბრძანება.

ხელმწიფე იმპერატორმა, მინისტრთა კომიტეტის დადგენილებისამებრ, უმაღლესად კეთილ ინება და ვარშავის გენერალ-გუბერნატორს მიანდო სამის წლის ვადით: 1) გამოსცეს სავალდებულო დადგენილება შესახებ საფოსტო ტრედების შენახვისა, გაშენებისა და გაწვრთნისა, ანუ სრულიად აკრძალვისა პრივისლიანის ქვეყანაში; 2) აღნიშნულ ჯიშის ტრედები, უკეთუ აღმოაჩნდეს ვისმე ნება-დაურთველად, გადაეცეს მახლობელ სამხედრო-სატრედო სადგურს და მათი პატრონები დასჯილ იქმნან ადმინისტრაციულის წესით ან დაპატიმრებით სამს თვემდე ან 500 მან. ჯარიმის გადახდევინებით. (ნ. ვ.).

ომის ამბები

დეპეშები და წერილები.

იაპონელთა ჯარის გალაშქრება მუკდენზე.—პორტ-არტურის მდგომარეობა.— უცხო ვინმე მეომარი.—მართლმადიდებელნი იაპონიაში.

იაპონელები არა სჯერდებიან იმას, რომ პორტ-არტურს ალყა შემოარტყეს და ამ ციხის აღებას არ ელოდებიან. როგორც ეტყობა, პორტ-არტურთან საკმაო ჯარს დასტოვებენ და უმთავრეს ძალას ჩრდილოეთისკენ მიმართავენ. ეხლა უკვე გამოირკვა, რომ იაპონელები მუკდენზე მიდიან თითქმის ყველა მხრიდან: 1, ქუან-დან-სიანიდგან ხუა-ჟენ-სენის გზით; 2, ქუან-დან-სიანიდგანვე ძიან-ჩანის გზით; 3, აიანიდგან ძიან-ჩანის გზით; 4, საიმაძიდგან ძიან-ჩანის გზით და საიმარიდგან სიაო-სირზე. ხუა-ჟენ-სენი ძევს ქუან-დან-სიანის ჩრდილოეთად, 85—90 ვერსის სიშორეზე, მდ. ტუნ-ჯუნ-ძიანზე, რომელიც მდინარე იალუს ერთვის. ამ ადგილს 26 მაისს იაპონელებს ძლიერი რაზმი ჰყავდათ, არა ნაკლებ 3000 კაცისა, როგორც გენერალ-კუროპატკინი დეპეშით იუწყებოდა, და შემდეგ იაპონიის ჯარმა ხუა-ჟენ-სენი უკვე დაიჭირა. ეს ის დივიზია უნდა იყოს, რომელიც კორეიაში უნსანზე მიდიოდა, კუროკის უმთავრეს ძალასთან დაშორებული. ეტყობა, ქუან-

დან--სიანში ეს დივიზია გაყოფილა, ნახევარი დასავლეთად წასულა და მეორე ნახევარი კი—ჩრდილოეთად. სწორედ ამ ჯარისთვის თუ ამზადებდნენ იაპონელები იმ სურსათს, რომელიც რუსის ყაზახებმა 10 აპრილს გაანადგურეს და ეს უკანასკნელი მიზეზი შეაბრკოლებდა აქამომდე იაპონელებს, ვიდრე სურსათს არ წაიმძღვარებდენ. გენერალ მიშჩენკოს ცნობები, რომ იაპონელები მარტშივე ჩრდილოეთისკენ მიდიოდნენ, მართალი ყოფილა. იაპონელებს წინადვე ჰქონიათ განზრახვა მუკდენზე გალაშქრებისა და ნდომებიათ უნსან. კანგ, ჩხოსანსა და ხუაქენ-სენზედ წასვლა, პირველ ხანს კორეას არ დაჰშორებოდნენ, მაგრამ ვერ გაუბედნიათ. შემდეგ, როდესაც დარწმუნდნენ, რომ გენერალი-კუროპატკინი არსაით აპირობს წასვლას და ერთს ადგილს მაგრდება, მაშინ კი იაპონელები წათამამდნენ და მუკდენისაკენ მოკლე გზით გაემართნენ.

ხუა-ქენ-სანი 50—60 ვერსის სიშორეზეა სინ-ძინ-ტანიდგან, რომელიც მოზდილი ქალაქია. აქედგან მუკდენამდე 130 ვერსია და გზაც კარგია. ჯერ აპრილშივე სინძინ ტანის ახლო ხუნხუზების დიდი ბრბო გაჩნდა, რომელსაც შეტაკება ჰქონდა პოლკოვნიკ ელშინთან. საფიქრებელია, რომ ავაზაკების ბრბო კი არ იყო, არამედ იაპონელების მზვერავი და მასთან სურსათის დამკვეთი რაზმი უნდა ყოფილიყო. ხუნხუზები ხშირად იაპონიის ჯარს წინ მიუძღვიან და, სადაც ისინი გაჩნდებიან, უთუოდ იაპონლებიც მალე უნდა მოჰყვნენ. სწორედ ასე იყო საიმაძისთან, რომელიც იაპონელებმა აიღეს კიდეც.

სხვა-და-სხვა ცნობებიდგან სჩანს, რომ იაპონელები სურსათს ჯარს კი არ ადევნებენ ბოლოში, როგორც ევროპიელებმა იციან, არამედ ჯერ სურსათს წაიმძღვარებენ, საწყობებს გამართვენ და შემდეგ ჯარს გაგზავნიან. კორეიაში სურსათის დამზადება კორეის რაზმებს ჰქონდა დავალებული, მანჯურიაში კი ამ მოვალეობას ხუნხუზები ასრულებენ, ხოლო მოთავედ და წინამძღვრად იაპონელი აფიცრები არიან, ხუნხუზების ტანთ-საცმელით.

იმ დროს, როდესაც გენერალ კუროკის ლაშქარი სხვა და სხვა გზებით მუკდენს უახლოვდება, გენერალ ოქუს და გენერალ ნოძუს ლაშქრებიც ჩრდილოეთისკენ მიდის· როგორც უკვე ვიცით, იაპონელებს ცხარე ომი ჰქონდათ გენერალ შტაკელბერგთან, და რუსის ჯარმა უკან დაიწია (რ. ვ.).

—

«ნეუ. ფრ. პრესს» დეპეშით ატყობინებენ ლონდონიდგან; ეჭვი აღარ არის, რომ გენერალ კუროკის ლაშქარი წინ წაემართა. მოწინავე ჯარში, რომელიც საიმაძიდგან მუკდენზე მიდის, 25,000 კაცია; მეორე რაზმი ლიაოიანზე მიდის; მესამე—ვაფანგოუდგან ხაიჩენზე; მეოთხეც—სიუიანიდგან ხაიჩენზე, და მეხუთე, რომელიც მარცხენა ფრთას შეადგენს,—გაიპინზე (ბ. ვ.).

—

ბერლინის გაზეთები იუწყებიან, რაც ომი დაიწყო, ჯერ ესეთი სიჩუმე არა ყოფილა, როგორც ეხლა. ადამიანს ვეღარა გაუგია-რა, ვინ რას აკეთებს და რას აპირობს. ყოველივე წყარო ცნობისა დახშულია. ნაგასაკიდგან ლონდონს ამბავი მოსულა, რომ იაპონელებს ჯერ ციხის სანგრევი ზარბაზნები არ მოუმართავთ პორტ-არტურის გარშემო. მაღლობებზე საგანგებო ცემენტის საძირკველი ამოჰყავთ, რომ ზედ დააყენონ ზარბაზნები. წინ თხრილებს იღებენ. ინჟენერთა შტაბი და მეზღვაურები გენერალ ოქუსთან იკრიბებიან სათათბიროდ (რ. ვ.).

—

«მორნ. პოსტის» სამხედრო მიმომხილველს ჰგონია, რომ ეხლა იაპონიის ჯარს შეუძლიან იერიში მიიტანოს პორტ-არტურზე და ფლოტიც მოიხმაროს- სურსათი ჯარს საკმაოდ მისდის გემებით. ნანშანიდგან შიში არა აქვს, ოდგან კარგი ადგილები უჭირავს და ჯარიც საკმაოდ არის სადარაჯოდ დაყენებული. რუსის ლაშქარი რომ დაიძრას და ვაფანდიანს გადასცდეს, გენერალი კუროკი თავის ლაშქრით გაეჩქარება და უკანა მხარეს გზას გადუჭრის (პრ. ვესტ.).

—

სრულიად შეწყვეტილია კავშირი რუსის ჯარის მთავარ სარდლისა პორტ-არტურთან თუ არა? მომეტებული ნაწილი ევროპიელ გაზეთებისა ამბობს·-შეწყვეტილიაო. «დეილიმეილის» და ზოგიერთ სხვა გაზეთებს კი ცნობები მიუღიათ, პორტ არტურიდგან უმავთულო ტელეგრაფით ჩიფუში ჰგზავნიან დეპეშებსაო. იაპონიის ელჩს ჩიფუში შეუნიშნავს, რომ რუსის კონსულს ღამ-ღამობით უმავთულო ტელეგრაფის მანქანა აქვს საკონსულოს ბანზედ და იქ იღებს დეპეშებს პორტ-არტურიდგან. ამ ამბის გამო დიპლომატიური მიწერ-მოწერა გაიმართა. იაპონელები ამტკიცებენ, რომ ამნაირის საქციელით რუსეთის კონსული ჩინეთის ნეიტრალიტეტს არღვევსო («ნოვოსტი»).

—

პორტ-არტურიდგან ჩიფუს მისული ჩინელები ამბობენ, რუსის დაზიანებული ფლოტი უკვე შეაკეთესო, გარდა „ცესარევიჩისა," «რეტვიზანისა» და კიდევ ერთის გემისა, რომლის სახელი ვერ დაუხსომებიათ.

ერთი ფრანგი და ერთიც გერმანელი მაღალის ხარისხის აფიცრები ყოველ დღე ათვალიერებენ დაზიანებულ გემებს და ამოწმებენ, მუშაობა რიგზე მიდის თუ არა. ნაღმოსნების გარდა, რუსებს ექვსი დიდი სამხედრო გემი მოწყობილი აქვთ, ყოველს ჟამს შეუძლიანთ ნავთსადგურიდგან გამოიყვანონ. ყოველი გემი კარგად არის შეიარაღებული, მხოლოდ რავდენიმე მსწრაფლ-მსროლელი ზარბაზანი გადიტანეს და ფორტებზე დააყენესო.

ამბობენ, ნავთსადგურის შესავალი თავისუფალია, ხოლო დიდი გემები კი ვერ გაივლიანო.

პორტ - არტურს თხრილები არტყია, სიღრმით 15 ფუტამდე და მაღლობებზე ზარბაზნებია გამწკრივებული. მრავალ ადგილს ნაღმებია ჩაწყობილი.

ჩინელი მუშები ერთი-სამად მეტს ჯამაგირს იღებენ, ვიდრე წინად, და დღეში 3 გირვანქა ბრინჯს. წინად ბრინჯს უფასოდ ურიგებდნენ, ბოლოს დროს კი ჯამაგირში ანგარიშობენ. სურსათი ბლომად არის, ხოლო ქვა-ნახშირი-კი ცოტაა.

ერთი ჩინელი ამბობს, დაზიანებულ გემებიდგან ზარბაზნები ხმელეთზე გადაზიდეს და ფორტებზე დააყენეს, მეზღვაურები-კი ხმელეთის ჯარს შეუერთეს. გემები წინად შავად იყო შეღებილი, ეხლა-კი ნაცრის-ფრად გადაღებეს, როგორც იაპონელებს აქვთ. ხანდისხან ნაღმოსნები გამოდიან ნავთსადგურიდგან, დიდი გემები-კი გაჩერებულნი არიან. ნავთსადგურის შესავალთან 350 ნაღმის ყუმბარა არის დაგებული და ამდონივე თვით ნავთსადგურში. ამ დღეებში რავდენსამე ნაღმს მეხი დაეცა და ააფეთქა, ხოლო არავითარი ვნება არ მიუყენებია.

«ნ. ფ. პრეს»-ის სიტყვით, იაპონელებმა გადასწყვიტეს, პორტ-არტურის შესახებ არავითარი ამბავი არ უნდა გახმაურდეს, ვიდრე ციხეს არ ავიღებთო. ამბობენ, პორტ-არტურზე მალე მიიტანენ იერიშს და ვითომ აიღებენ კიდეც, თუმცა ბევრს არა სჯერა, რომ პორტ-არტურის აღება ესე მალე შეძლებოდეს (ნოვოსტი)

რუსის ჯარის მოწინავე რაზმებში ომის ველზე ერთი საუცხოვო თარჯიმანი ყოფილა, რომელსაც მიხეილ ნიკოლაევიჩს უწოდებენ. ის სულ ყაზახებს დასდევს. გაწყობილია ჩერქეზულად, ჩოხა-მასრებით. ვიწრო წელზე ჩერქეზულივე ქამარი არტყია, ხუჭუჭ თმიან თავს ჩერქეზული ქუდი ამკობს. ფეხთ დიდ ყელებიანი ჩექმები აცვია. სახე მიმზიდველი აქვს, უწვერ-ულვაშო, დიდი შავი, ჟუჟუნა თვალები, ცხვირი ზომიერი, ხოლო ქედის მინაგვარი, ტუჩები სისხლ მორეული. მზემოკიდებულ სახეზედ გამბედაობა ეტყობა. ცხენზე ისე დაჯირითობს, როგორც საუკეთესო მხედარი. კარგად უნდა დააკვირდე და მხოლოდ მაშინ მიხვდები, რომ ეს მხედარი ქალი უნდა იყოს. ის თურმე ქვრივია, ნიკოლოოზის დროის სალდათის ქალი, ნიკოლსკ-უსურიის მოქალაქის ნაცოლარი. პატრიოტულ გრძნობასა და ვაჟკაცურ ცხოვრებას ისე გაუტაცნია, რომ თავისი სქესი დავიწყებია და თავი მართლა ვაჟკაცად მიაჩნია. «ისე ნუ მიცქერით, როგორც დედაკაცს, მიმიჩნიეთ ამხანაგად და თქვენთან სამხედრო ტანჯვა-ვაებას და სიხარულს ადვილად ავიტან, ყველგან გამოგყვებით და თქვენთან მინდორსა თუ ტყეში გავატარებ ღამესაო". მართლაც ეს მიხეილ ნიკოლაევიჩი სიმარდეში და ამტანობაში არავის დაუვარდება. მისი სამსახური მით უფრო სახარბიელოა, რომ ჩინური ენა მშვენივრად სცოდნია და მზვერავთა რაზმებში დაუფასებელია.

(რუს. ინვ.).

—

მართლ-მადიდებელთა სამისსიონერო საზოგადოების რჩევამ პეტერბურგში წერილი მიიღო ტოკიოდგან მართლ-მ. დიდებელთა მისსიის უფროსის ყოვლად-სამღვდელო ნიკოლოოზისა, რომელიც იუწყება:

«მოვალეობად მიმაჩნია მოვახსენო საზოგადოების რჩევას, რომ თუმცა, სამწუხაროდ, ომიანობა არის, მაგრამ იაპონიის მართლ მადიდებელთა ეკკლესია, იაპონიის მთავრობის მზრუნველობის წყალობით, ისევე თავისუფალია, როგორც მშვიდობიანობის დროს. მისსიას დღე და ღამე პოლიციელი და ჟანდარმი უდარაჯებენ, რომ არა ევნოს-რა. უმაღლეს მთავრობისაგან ყველგან ბრძანება გაეგზავნა მოხელეებს დაიცვან მართლ-მადიდებელნი და ყოველი ღონისძიება მიიღონ, რომ არავინ შეურაცხჰყოს იგინი და არც შეავიწროვოს. ამის გამო ეკკლესია შეურყევლად არსებობს როგორც აქ, ტოკიოში, ისე ყველგან ამ ქვეყანაში."

ეს წერილი 7 აპრილის თარიღით არის გამოგზავნილი.

როდესაც ომი ასტყდა, ყოვლად-სამღვდელო ნიკოლოოზმა აცნობა სამისიონერო საზოგადოების რჩევას, მე იაპონიაში დავრჩები, რადგან ამისთანა მღელვარების დროს საჭიროა ეკკლესიას არქიელი ჰყავდესო. იაპონიის მთავრობა დახმარებასა და მზრუნველობას დაჰპირებია და, როგორც სჩანს, ასრულებს კიდეც.

ამ წლის დამდეგამდე იაპონიაში 260 მართლ-მადიდებელი მრევლი ანუ საეკლესიო საზოგადოება ყოფილა. მართლ-მადიდებელთა რიცხვი 30,000 მდეა, რომელთაც 39 მღვდელი ჰყავთ; მათშორის მხოლოდ სამია რუსი, სხვები იაპონელები არიან. სამღვდელოების გარდა 146 მქადაგებელია და 12 გალობის მასწავლებელი. წარსულ წელს 1039 კაცი მონათლულა. (მ. ვ.).

……

იაპონია და ჩინეთი

ერთის თვალის გადავლებით.

ევროპა თავის ეკონომიურ განვითარებით და კულტურით პირდაპირი მიზეზი შეიქმნა აზიის გამოღვიძებისა.

ამ რამდენისამე ოცის წლის წინად იაპონიის ცხოვრება განახლებას საჭიროებდა. მისი ნატურალური წარმოება უკვე მოხერხებული იყო და ქვეყნის მოთხოვნილებას ვეღარ აკმაყოფილებდა. საჭირო იყო მისი უფრო მაღალ სახედ განვითარება და მთელის ცხოვრების შერყევაც. ნატურალური წარმოება კაპიტალისტურად უნდა გარდაქცეულიყო და ეკონომიურთან ერთად პოლიტიკური კანიც უნდა ეცვალა, რათა ცხოვრება უფრო ჩქარის ნაბიჯით და ჰარმონიულად განვითარებულიყო. პირველმა დაჰბადა მეორე და ამ უკანასკნელს კიდევ უეჭველი გავლენა ექმნებოდა პირველზე. ძველ წარმოებაზე აშენებული ფეოდალიზმი უნდა მოსპობილიყო და მის ადგილას ახალი, უფრო თავისუფალი სოციალური ურთიერთობა დამკვიდრებულიყო.

ევროპასთან დაახლოვებამ ეს პროცესი დააჩქარა და ქვეყანა პროგრესის გზაზე შეაყენა ეკონომიურად და ამის გამო პოლიტიკურადაც დანაწილებული ქვეყანა კაპიტალისტურმა წარმოებამ გააერთიანა; ბედნიერმა შემთხვევამ, გონიერმა მიკადომ არ შეაჩერა ეს წინ-სვლა; მისთვის ერთობ ძვირფასი იყო თავის ერის კეთილ-დღეობა. ჩემის ხალხის საბედნიეროდ არასფერს დავერიდებით,—უპასუხა იმ კონსერვატორ მებატონეთ, რომელნიც ახალის ცვლილებით ტახტის დაკარგვას უქადდნენ. საჭირო დროს სამეფოს კონსტიტუცია და პოლიტიკური თავისუფლება მიანიჭა და ამით იაპონია აზიის მედროშეთ და ბელადათ გარდააქცია. *)

ასრე იყო იაპონიაში, მაგრამ ასრევე არ არის მის მეზობელ ჩინეთში. აქაც კარგა ხანია, რაც ნატურალური წარმოება ირღვევა. ამ ცვლილებასაც ევროპამ შეუწყო ხელი; მისმა კაპიტალმა და საქონელმა ჩინეთის სქელი ზღუდე შეანგრია და იქ გაჩნდა, სადაც მგონი ჯერ ბოგდიხანის ბრძანებასაც არ მიუღწევია. ძველი, პრიმიტიული წარმოება და მეურნეობა, თუმცა მაღალ ხარისხამდეა აღყვანილი, ადგილის სიმცირის გამო, ვეღარ აკმაყოფილებს ხალხის მოთხოვნილებას. საჭიროა ახალი წყარო. ახალი სალსარი ცხოვრებისა. ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრე დაუმუშავებელია და ხალხს კი სიმშილით სული სძვრება.

რძე და ყველი ჩინელს შესძაგებია. ცხენის მაგიერ ვირზე ჯდება, რადგან მისი შენახვა უფრო ადვილია. ძაღლის ხორცი მისთვის გემრიელი საჭმელია და ჩვეულებრივ არც ვირ-თაგვას ერიდება. ჩინეთში, ვით იაპონიაში, ხორცს ძალიან იშვიათად ხმარობენ. ადგილის სიმცირე ორსავე ქვეყანაში საქონლის ყოლის ნებას არ აძლევს.

ასრე გასჭირებია ჩინელს ცხოვრება; მაგრამ არა ნაკლებ სულსა ჰხდის ჩინეთს ნატურალურ წარმოებაზე დამკვიდრებული ფეოდალიზმი. მართალია, ჩინეთში ჩამომავლობითი ფეოდალები არ არსებობენ, მაგრამ მანდარინები და საერთოდ ბიუროკრატია ისეთივე ბატონ—პატრონები არიან, როგორსაც ჩვენში და ევროპაში სხვილი და წვრილი მებატონეები იყვნენ. ჩინელი მანდარინი თავის პროვინციაში იგივე მეფეა, რაც საერთოდ ჩინეთში «ცის შვილი». მის ხელშია ყოველნაირი უფლება სამხედრო, სამოქალაქო თუ სამოსამართლო; და, რასაკვირველია, რომ იგი უხვად სარგებლობს ამნაირის უფლებით. მთელი განათლებული კლასი თავის ნათესაობით და მახლობლებით უბრალო ხალხს წურბელათ გახდომია და უკანასკნელს ლუკმასაც კი სტაცებს პირიდგან. სახლმწიფოს ნახევარი შემოსავალიც ხომ მთლად მათ ჯიბეში ჩადის. მაღალი «ჩინოვნიკობა» დაბალზე გაბატონებულა და ეს ორივე ერთად კი ხალხზე. ქრთამი, მოსყიდვა სამართალსა სჭრის და, კანონი თუმც არსებობს, მხოლოდ თვალის მოსატყუებლად, უკანონობის დასაფარავად. ერთის სიტყვით, ბიუროკრატიამ ლამის მთელი ჩინეთი დაჰლუპოს *).

ხალხი, ყოველნაირად შეწუხებული, ღელავს და ბორბოქობს. არ გაივლის წელიწადი და თითქმის თვეც კი, რომ ჩინეთის რომელსამე პროვინციაში ახალი ამბოხება არ მოჰხდეს. აშკარად სჩანს, რომ ხალხი სრული კმაყოფილია აწმყოთი და უკეთეს მომავალს ეძებს. ევროპამ ახალი გზა უჩვენა და ამით ხალხის უკმაყოფილება უფრო აზვავა და გააძლიერა. მშიერი ერი ჰღელავს და თავის უბედურების მიზეზს ეძებს. მაგრამ, როგორც შეუგნებელი ბრბო, იგი უფრო ცალ-ცალკე მოქმედობს და არც გარკვეული მისწრაფება აქვს, მისი განვითარებული გონება შორს ვერ სჭვრეტს და ხშირად მახლობელ უბრალო მიზეზს ეჭიდება; თავისს ზიზღს და ჯავრს ევროპიელებზე ყრილობს და ნამეტნავათ მისიონერებზე.

ჩინეთის მთავრობაც კარგად ჰხედავს, რომ ხალხის უკმაყოფილების გაძლიერებაში მცირედი არ მიუძღვით ევროპიელებს და თავათვე უსისინებს ხალხს. სურს თვით აიცდინოს თვისი ცოდო და სხვას მოახვიოს კისერზე.

მაგრამ ახალი მოძრაობა უფრო და უფრო მტკიცედ იკიდებს ფეხს და ბოლო ხანებში გარკვეულ ფორმასაც იღებს. ახალგაზდა პარტიამ, რომ-ლსაც აზრათა აქვს ჩინეთი ევროპას დაუახლოვოს, ერთხანად კინლამ მიაღწია თავის საწადელს. ახალ-გაზრდა იმპერატორი კვანგ-რიუ თავისკენ მიიმხრო და უნდა მომხდარიყო ის, რაც იაპონიაში. მაგრამ, საუბედუროდ, მოხუც დედოფლის პარტიამ ჩქარა თვით იგდო ხელთ უფლება და დღევანდლამდე ბეჯითად იცავს ძველ წეს-წყობილებას. მთავრობა კიდევ თავის მხრივ, რასაკვირველია, არავითარს სალსარს არ ჰზოგავს, რომ ეს მოძრაობა ჩააქროს. ტაიპინგების ამბოხების დროს 15 მილიონი მეტი ხალხი იქმნა გაწყვეტილი და რამდენიმე მდიდარი პროვინცია მთლად აოხრებული.

ჩინეთმა უკეთესის გემო გაიგო. მისი უკან დახევა ბუნების წინააღმდეგი იქნება.

ვიმეორებთ, ჩინეთის გამოღვიძება აუცილებელია,

ტფილისი

—

⁂ წელს 18 კაცმა დაასრულა ტფილისის სახელოსნო სასწავლებელი.

⁂ სამხედრო უწყებას ნავთლუღში, სამხედრო სამკურნალოს მახლობლად, მიუთვისებია ქალაქის ადგილი. ქალაქის გამგეობამ, თანახმად ინჟინერ კოგნოვიცკის წინადადებისა, შეუთვალა, ადგილი დაგვიბრუნეო.

⁂ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წელს 135 წევრს შეუტანია საწევრო ფული. სულ შემოსულა 997 მანეთი.

⁂ ამიერ-კავკასიის აგრონომებს დაევალათ, რომ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში წარადგინონ თავიანთი მოხსენებანი იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება წარმოებულ იქმნას ამიერ-კავკასიაში ფორთოხალის მოყვანის საქმე.

⁂ რადგან გაზეთი «თარაზი, რომელიც ტფილისში გამოდის ტიგრან ნაზარიანცის რედაქტორობით, მავნე მიმართულებას ადგია, კავკასიის მთავარ-მართებელმა, საცენზურო წესდების მე-154 მუხლის შენიშვნის ძალით, საჭიროდ სცნო გამოცემა ამ გაზეთისა და აგრეთვე დამატების «აგბიურ»-ისა ოთხის თვით შეჩერებულ იქმნას (კავკ.).

⁂ როგორც მკითხველთ უწყიან, უმაღლესმა მთავრობამ ამოარჩია კავკასიაში ადგილები, სადაც გადმოსახლებულ უნდა იქმნენ რუსები. ყველა ამ ადგილებში მთავრობა აპირებს ეკკლესიების აგებას. ეკკლესიები უნდა იყვნენ ყველა ერთის ფორმისა. ეკკლესიების შენობის გეგმის შედგენა საგანგებო კომისიას აქვს მინდობილი. გეგმა უკვე შეუდგენიათ და ახლა უმაღლესი მთავრობა განიხილავს.

⁂ წელს ამიერ-კავკასიის სატუსაღოთა შენობის დასაქირავებლად საერობო თანხიდან გადადებულ იქმნა 12,948 მან.

⁂ დღეს 8 ივნისს, სხდომა ექმნება ქალაქის საბჭოს მიერ არჩეულ კომისიას· რომელმაც უნდა გამოისყიდოს შუა ბაზარში კერძო კაცთა მიწები ქუჩის გასაფართოვებლად.

⁂ ამ ჟამად ტფილისში იმყოფება ბათუმის ქალაქის მოურავი თავადი ანდრონიკაშვილი.

⁂ ქუთაისში «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» სასარგებლოდ საღამო გაიმართება მომავალ სეკდემბერს.

⁂ უმაღლესმა მთავრობამ, რუსეთ-იაპონიის ომის გამო, 250,000 მანეთით შეამცირა ის თანხა, რომელიც გადადებული იყო ბათომისა, არდაგანისა, კახეთისა და ავარიის გზა-ტკეცილების შესაკეთებლად.

⁂ ტფილისის ბავშვთათვის მზრუნველს საზოგადოებას განუზრახავს საბავშვო ბაღი გაჰმართოს იმ ადგილას ვერაზე, სადაც ვერა მტკვარს ერთვის. ალაგი ქალაქის თვით-მმართველობას ეკუთვნის. ადგილს უსასყიდლოდ სთხოვს საზოგადოება.

⁂ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა დედათა მესამე გიმნაზიის დირექტორს დეისტ. სტატ. სოვეტ. ბოგოიავლენსკის დაავალა, თვალყური ადევნე, ზაფხულის განმავლობაში ტფილისში უწესოდ არ იქცეოდნენ მოსწავლენიო.

⁂ საგანგებო კომისიამ უკვე შეადგინა ტფილისის ხელოსანთა სამარხო კასის წესდების პროექტი, რომელიც განხილულ იქმნება ხელოსანთა საზოგადო კრებაზედ.

⁂ წელს 18 კაცმა დაასრულა ტფილისის საოსტატო ინსტიტუტი. მათ შორის ქართველი ოთხია. აი მათი გვარები: ბახტაძე, გოგუაძე, ჯომარჯიძე და კენკაძე.

⁂ დღეს, 8 ივნისს, კრება ექმნება იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს ქალაქის საყასბოს ახალ შენობის აგების საქმე. საყასბოს შენობის პროექტის შედგენა აზრად აქვთ მიანდონ ინჟენერ საკსაგინსკის, რომლის პროექტითაც ბევრი შენობები აგებულა რუსეთის დიდს ქალაქებში.

⁂ აზრად აქვთ, გაადიდონ საქციზო უწყების მოხელეთა რიცხვი ამიერ-კავკასიის ზოგიერთ გუბერნიებში.

⁂ გაზეთ «კავკაზ»-ის დროებით რედაქტორი ა. თ. ბელინსკი ამავ გაზეთის რედაქტორად იქმნა დამტკიცებული.

⁂ ტფილისის გუბერნატორმა სთხოვა ტფილისის ქალაქის მოურავს, შეატყობინე, რა მდგომარეობაშია ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის ახალ წესდების შედგენის საქმეო.

⁂ ბევრი იმ კაცთაგანი, რომლებსაც ასახელემენ ტფილისის ქალაქი', მოურავის

---

*) იხ. ამ ეკონომიურ ცვლილების შესახებ ჟურ. М. Б—ში „Критич. замѣтки" 1904 წ. № 5.

*) იხ. Т. Богдановичъ. Современный Китай.

თანამდებობაზედ, ამ ჟამად ტფილისში არ იმყოფება. არ არიან აგრედვე ზოგიერთნი ხმოსნები ქალაქის საბჭოსი, ამიტომ განზრახვაა ქალაქის მოურავის არჩევნები სექდემბერში დაინიშნოს.

ესტატე ბესარიონის ძე ღამბაშიძე.

(ნეკროლოგი)

ქუთაისში, 4 ივნისს, მიწას მიაბარეს აქაური სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი ესტატე ბესარიონის ძე ღამბაშიძე. განსვენებულს კარგად იცნობდა ქუთაისის საზოგადოება, როგორც მხნე, პატიოსან მუშაკს, იშვიათის ადამიანურ ღირსებით შემკულს, თანამგრძნობელს ყოველისავე საზოგადო საქმისა და ამიტომაც ამ დღეს, მიუხედავად ძლიერ ცუდის ამინდისა, აურებელი ხალხი მიეშურებოდა არქიელის გორისკენ განსვენებულის პატივსაცემლად. განსვენებული ჯერ კიდევ ჯან-ღონით და ენერგიით სავსე იყო და მისი ასე უდროოდ დაკარგვა მით უფრო სამწუხაროა არა მარტო მისის სახლობისათვის, არამედ მთელის ქუთაისის საზოგადოებისათვისაც. განსვენებულმა 25 წელზე მეტი იმუშავა პედაგოგიურ ასპარეზზე, თავის სიცოცხლის სიკეთესო დღენი დაუთმო ჩვენის მოზარდ თაობის აღზრდა-გაწვრთნას და ამ ხნის განმავლობაში უხვის ხელით მოაბნია კეთილი თესლი თავის შეგირდთა შორის... მისი მუდამ მღიმარი, ფრიად სიმპატიური სახე, იშვიათი ადამიანური მიპყრობა, განსაკუთრებით თავის შეგირდებთან, მარადის წაუშლელი იქნება მათ მეხსიერებაში, ვისაც განსვენებულთან რამე დამოკიდებულება ჰქონდა.

განსვენებულის დასაფლავებას მრავალი ხალხი დაესწრო და რამდენიმე გულწრფელი, გრძნობით სავსე სიტყვა წარმოითქვა მის უდროოთ გათხრილ საფლავზე. სხვათა შორის, ყველას ყურადღება მიიპყრო ბ.ბ. ანდ. ბენაშვილის და გიორ. ბოკერიას სიტყვებმა. ბ-მა ბოკერიამ მშვენიერად დაახასიათა განსვენებული, აღნიშნა მასწავლებლის ძნელად სავალი, ეკლიანი გზა და ეს ფრიად სახიფათო გზა როგორის იშვიათის მხნეობით და პატიოსნებით განვლო განსვენებულმა.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, კეთილო ადამიანო!

დ.

ჩვენებური ამბები

ერწო (თიანეთის მაზრა) ერწო მდებარეობს თიანეთიდგან 23 ვერსის სიშორეზედ სამხრეთით; შეადგენს 5 სამამასახლისოს და შეიცავს 1655 კომლს. აქაურნი მკვიდრნი სულ გლეხები არიან. მდებარეობა ერწოს მშვენიერი აქვს, ოთხივ კუთხივ შემოზღუდულია ქედებით. მიწა კარგი მოსავლიანი აქვს და საბალახო ადგილები ბლომად არის. ამის გამო აქაურები ბევრ საქონელს ინახავენ. შარშან ტოლათ სოფლის საზოგადოებაში ს. ღულელებში საქონლის ჭირმა იჩინა თავი და სულ მთლად გაანახევრა.

სხვათა შორის სცხოვრობენ აქ ფშავლები და ხევსურები, რომლებიც მამულის სივიწროვის გამო ფშავ-ხევსურეთიდგან არიან გადმოსახლებულნი.

აქაურნი მცხოვრებნი ხშირად ტფილისში შეშას და ნახშირს ეზიდებიან, ამოაქვთ ტფილისიდგან თიანეთში ქირით სავაჭრო საქონელი. ამიტომ აქაურნი მკვიდრნი ცოტა შეძლებულნი არიან. აქაურები, რაკი უსწავლელად იოლად გამოდიან, სწავლისათვის სრულიად არა ფიქრობენ და სწავლა მეტ ბარგად მიაჩნიათ. ან კი როგორ მოაცდენენ თავიანთ 7—8 წლის ბავშვებს, როდესაც მათთვის სახლში ძალიან საჭიროა. თუ ოჯახში 3—4 ბავშვი მაინც არა ჰყავთ, იშვიათად მიაბარებენ სასწავლებელში ბავშვს.

მთელ ერწოში მარტო ერთი სოფლის სკოლა არსებობს და ვერაფერი ნაყოფი ვერ მოაქვს, ამიტომ აქ ცრუ-მორწმუნეობა და მკითხავები ძალიან არის გახშირებული.

ტოლათ-სოფელში ერთი თავხედური ქურდობა მოჰხდა. ს. თრანში მცხოვრებთ ქ. წიკლაურმა, ხ. ბურდულმა და გ. არაბულმა იმ თვის ოცში გასტეხეს აქაური მედუქნის დუქანი. ეს სამი «ჯეილი», ცოტა შეზარხოშებულნი, ცულით მისულან დუქანში და, რა დაუნახავთ, პატრონი შინ არ არის, გარდა ორი პატარა ბიჭისაო, ჯერ მოუსურვებიათ კლიტის გატეხვა, მაგრამ, მათ საუბედუროდ, კლიტე მაგარი აღმოჩენილა. შემდეგ წიკლაურს დაურტყავს ცული სანათურისთვის, შეუმტვრევიათ, გადასულან შიგ და მოუპარავთ 200 მანეთის ღირებული ნივთები. მეორე დღეს მოპარული ნივთები მამასახლისმა ბურდულის სახლში აღმოაჩინა. გამოძიების დროს მარტო ბურდული გამოტყდა, ეგ ქურდობა მე მოვიქმედეო. გამოძიება სწარმოებს.

დათიკო გოჯიაშვილი.

რუსეთი

კიევი. (საკუთარის კორესპონდენტისაგან). წელს კიევის სასულიერო აკადემიაში სწავლა დაამთავრა ორმა ქართველმა: არსენიშვილმა და კეკელიძემ. კეკელიძემ წელს აკადემიას წარუდგინა სავალდებულო თხზულება, რომელიც ჩვენის საზოგადოებისათვის მეტად საყურადღებოა და რომელთაც აკადემიის გამოჩენილი პროფესსორი ბ-ნი დიმიტრიევსკი აღტაცებაში მოიყვანა. კეკელიძის თხზულებაში ბევრს ისეთს ახალს იპოვით, რომელიც სასულიერო მეცნიერებისათვის დიდს განძს წარმოადგენს. აი სათაური თხზულებისა: **«Литургическіе грузинскіе памятники въ отечественныхъ книгохранилищахъ и ихъ научное значеніе»**

ეს ვრცელი და მეტად სერიოზული შრომა შეადგენს 836 გვერდს, რომელიც განიყოფება ორ ნაწილად.

ამ ჟამად მეცნიერებას აზრად აქვს შეადგინოს დაწვრილებული ისტორია მართლ-მადიდებელ ეკკლესიის ღვთის მსახურებასა. ამისთვის საჭიროა გამოიძებნოს პირველი წყარო თვით ღვთის მსახურებისა. ამ მხრივ თავისი შრომა ჩერნიგოვის ეპისკოპოსმა პორფირიმ ვერ დაამთავრა. ამ საგნის სრულად შესწავლას ცდილობდნენ, როგორც ევროპიელნი მეცნიერნი, აგრედვე რუსეთისაც, რომელთა შორის უპირველესი ადგილი უჭირას კიევის სასულიერო აკადემიის პროფესსორს ბ-ნ დიმიტრიევსკის. ბ-ნმა დიმიტრიევსკიმ სრულიად შეისწავლა ამ მეტად საინტერესო საგნის გამოსარკვევად ხელთ-ნაწერების—ბერძნული, სლავიანური და მოლდაურ-ვლახურიც. მხოლოდ საქართველოს ეკლესიის ხელნაწერები იყო ამ მხრივ გამოურკვეველი. არ იყო ამ მხრივ შესწავლილი ძველ ქართულ ეკლესიის მდიდარი წიგნთ-საცავი. ეს ძალიან კარგად იცოდა პროფესსორმა დიმიტრიევსკიმ და ამიტომ კეკელიძეს ორის წლის წინად ურჩია ამ საგანს გასცნობოდა კარგად და მერე ასეთის იარაღით აღჭურვილს აეხსნა მეტად საყურადღებო საგანი.

ბ-ნ კეკელიძეს მასალად ჰქონდა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში არსებული მასალა. იგი მოკლებული იყო სინაისა, ათონზე და პალესტინაში დაცულ ხელთნაწერებს, მაგრამ ამას კეკელიძისთვის დიდად არ შეუშლია ხელი და თავის შრომა საუცხოვოდ შეასრულა.

ქართულ ეკლესიის ღვთის მსახურების ლიტერატურას, როგორც კეკელიძემ დაამტკიცა, დიდი საზოგადო და სამეცნიერო მნიშვნელობა აქვს. ამ აზრს აკადემიაც დაეთანხმა და ბ-ნ კეკელიძეს ამ საგნის უფრო სავსებით შესასწავლად ურჩევენ ათონზე გამგზავრებას. «ეს უთუოდ უნდა შეასრულოო»—ეუბნებიან პროფესსორები კეკელიძეს, რომელთა შორისაც უმთავრესი ადგილი უჭირავს პროფესორს ბ-ნ დიმიტრიევსკის.

ბ-ნი კეკელიძე თანახმაა წავიდეს ათონზე, მაგრამ ნივთიერი ხელ-მოკლეობა ნებას არ აძლევს.

ვისურვებთ, ბ-ნ კეკელიძეს როგორმე მოესპოს ეს დაბრკოლება და აგრე სასახელოდ გამოეყენებინოს ათონის მასალებიც და მომავალში აკადემიის ყველა ქართველ სტუდენტს კეკელიძესავით აღტაცება გამოეწვიოს პროფესორთა შორის.

კიევის სასულიერო აკადემიის სტუდენტი
მღვდელი აღ. გიორკაძე.

წერილი
რედაქციის მიმართ.

თქვენს პატივცემულ გაზეთში, № 128, სხვათა შორის ჩვენის მხრის ამბებიც არის მოთავსებული სოფელ ტინისხიდიდან (გორის მაზრა) ბ-ნ გუც ანამორაძის მიერ შესახებ წრევანდელის მოსავლისა, ბ-ნი ნამორაძე სწუხს, ქინახული გაბალახდა და ცუდი პირი უჩანსო. ძრიელ გამაკვირვა ამ ამბავმა. მე დიდი ხნის კაცი არ გახლავართ, მაგრამ ტინისხიდში ნაკლები მოსავალი არ მახსოვს. წრეულს ხომ სხვათა ადგილებისას ბევრად სჯობიან ქინახულები. რაიცა შეხება ბალახის მორევას, ეგ ხომ სულ სათქმელი არ არის. თავ-თავი სიცივით გაწითლებულიაო. არც ეს არის წარმოსადგენი. სიცივით ქინახული არ გაწითლდება. ამ გულმტკივნეულობასთან ერთად ბ-ნი ნამორაძე ამბობს: «თქვენი მტერი, თუ ისედაც გაჭირვებულს მცხოვრებთ, ესეც (ვითომ მოუსავლობაც) ზედ დაატყდაო». დიდად საინტერესოდ მიმაჩნია ვიცოდე, რა გაჭირვება ადგიათ აქაურ მცხოვრებთ. მე როგორც აქაურ მემამულეს, მოვალედ მიმაჩნია ჩემი თავი, ვიცოდე აქაურთა უბედურობა, იქნება თვალები ამეხილოს და გავიგო რამე. რაიცა შეეხება მოსავალს, ვარწმუნებ ბ-ნს კორესპონდენტს, რომ ჯერჯერობით, ღვთით კარგი პირი უჩანს და, თუ ღმერთმა ცა და ჰაერი დაუმშვიდა, მოსავალი კარგი იქნება.

ტინისხიდის მემამულე
გიორგი ოთარის ძე ამილახვარი

შემოწირულებანი

განსაახლებლად ბრეთის ეკკლესიისა, სადაც დაკრძალულია ღირსი მამა პიროსი, ასურელ ათ-ცამეტთა მამათაგანი, მიღებულია თავ. დიმიტრი ივანეს ძის ამილახვარისაგან—3 მან. და კნ. ეკატერინე ავალიშვილის ასულის კნეინა ამილახვრის მეუღლისაგან—60 მან., შეკრებილი თავის ნათესავთა შორის, რისთვისაც ბრეთის ეკკლესიის სააშენებლო კომიტეტი დიდს მადლობას უძღვნის.

კომიტეტის წევრი-გამგე
ივანე გიორგის ძე ბაღდიშვილი.

„ივერიის“ ფოსტა

ი. როკიელს. თქვენი ორი ლექსი არ დაიბეჭდება.

ბაქო. ა.—ძეს. თქვენს წერილებს სიამოვნებით დავბეჭდავთ სულ ამ მოკლე ხანში.

ო—ლი. მ. ტ—ს. წერილი უკვე კაი ხანია დაიბეჭდა, სახელდობრ № 124-ში, 29 მაისს. ნუ შეგვრისხავთ დაგვიანებისათვის.

ოჩემჩირს. ს. ბ—ლს. გ. შავპირაძეს. თქვენი ლექსი «ძმური რჩევა» არ დაიბეჭდება

Montan-ს. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 ივნისი.

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტის ალექსეევის დეპეშა საზღვაო სამინისტროს გამგეს, 3 ივნისს, 1904 წ.: «კონტრ-ადმირალ ვიტგეფტისაგან 1 ივნისს პორტ-არტურიდგან მიღებულ ცნობებით, კარგად დასრულდა შეკეთება სამხედრო გემებისა; მზადაა ჯავშნიან გემების რაზმი, რომელსაც უფროსობს კონტრ-ადმირალი თავადი უხტომსკი,—კრეისერები, რომელთაც უფროსობს პირველ ხარისხის კაპიტანი რეიცენშტეინი, აგრედვე ნაღმიანი გემებიც; ყველა უფროსმა ფლაგმანმა, ნავთსადგურისა და ჯარის უფროსებმა ამ საქმეში დიდი მხნეობა და მზურნველობა გამოიჩინეს. ესკადრის ყველა მეზღვაურნი ჯანმრთელად არიან.

ტოკიო. («რეიტ. სააგ.»). 5 ივნისს დილით დაინახეს ვლადივოსტოკის ესკადრა ცუნგარის სრუტეს დასავლეთად ნაწილის ახლოს. ფიქრობენ, რომ ესკადრა ვლადივოსტოკში დაბრუნდება. არ იციან, სად არიან იაპონიის გემები, რომელნიც რუსეთის ესკადრას გამოედევნენ.

სლავიანსკი. სლავიანსკის სამკურნალო წყლებზე ამზადებენ სხვადასხვანაირ მოწყობილობას ომში დაჭრილთა და ავადმყოფთა სამკურნალოდ.

ბელგრადი. 5 ივნისს რკინის გზის სადგურზე შეხვდნენ მეფე და ბოლგარიის მთავარი, რომელიც აქ გავლითაა საიდუმლოდ.

ვლადიკავკაზი. 5 ივნისს ღამე ყაჩაღების ბრბომ რკინის გზის ასაქცევ ადგილას, კოლონკაში, დამალა რელსები, რის გამო მატარებელი გზას ასცდა; ყაჩაღები საფოსტო ვაგონს დაეცნენ და სროლა აუტეხეს ფოსტის დარაჯებს. მახურობაზე კოლონკას მცხოვრებნი მოცვივდნენ. ყაჩაღებმა დაიწიეს და დიდ მანძილზე სისხლის კვალი დასტოვეს. ფოსტა და მგზავრები არ დაზიანებულან.

ჰელსინგფორსი. 4 ივნისს გადაიხადეს პანაშვიდი მიძინების სობოროში და გენერალ-გუბერნატორის სახლში განსვენებულის გენერალ-გუბერნატორის ბობრიკოვის სულის მოსახსენებლად.

ვაშინგტონი. («რეიტ. სააგ.»). სამხედრო გემებისაგან შემდგარი შეერთებულ შტატების ესკადრა, რომელიც აქამდე ლისაბონში იდგა, ხმელთა შუა ზღვაში წავიდა. ხმები, რომ იქ ამ ესკადრას შეუერთდება შეერთებულ შტატების მეორე ესკადრა და ყველა გემები—ოსმალეთში წავლენო. ამავე დროს ამერიკის ელჩი სტამბოლში ისევ დაიწყებს მოლაპარაკებას პორტასთან, რათა უზრუნველ ჰყოს ამერიკელებისათვის იგივე უფლებანი, რომლებითაც ზოგიერთნი ევროპის სახელმწიფონი სარგებლობენ

პავლოგრადი. სადგურ საცეპეტოვკაზე ბოროტ განმზრახველებმა გაძარცვეს საქონლის მატარებელი. მოჰკლეს გზის დარაჯი. ერთიც დასჭრეს. ბოროტ-განზრახველები დაიჭირეს.

ბაქო. საღამოს 6 საათზე ბიბი ეიბათში კასპის-ჩერნომორის საზოგადოების სამრეწველოზე ცეცხლი გაუჩნდა ნავთის ერთ შადრევანს. დაიწვა 3 შადრევანი. ცეცხლი უკიდია მაზუთის ამბარს. სამი კაცი დაშავდა ცეცხლისაგან.

ბერლინი. ვესტფალიაში ვარჯიშობის დროს მეხი დაეცა სამხედრო აეროსტატს, რომელიც დაბმული იყო. ჰაერისტატი აფეთქდა და დაიწვა. საშიშრად დაშავდა 2 უნტერ აფიცერი და ერთი სალდათი.

6 ივნისი.

ჩიფუ. («რეიტ. სააგენტო»). იაპონიის აქაური მოხელეები ჰფიქრობენ, რომ სატრანსპორტო გემების დაკარგვა შეაჩერებს უკვე გარდაწყვეტილ იერიშს, რომელიც იაპონელებს უნდა მიეტანათ პორტ-არტურზე ხმელეთსა და ზღვიდან. თუმცა არ არის ჯერ ოფიციალური ცნობა იმის შესახებ, თუ რამდენი კაცი იყო ჩაძირული ტრანსპორტებზე, მაგრამ ჰფიქრობენ, რომ 5000 კაცამდე დაიღუპა.

კუროკის მთავარ სადგომი. («რეიტ. სააგენტო.») გენერალი კუროკი გულდამშვიდებით მოელის შედეგს ბრძოლისას ლიაოდუნის ნახევარ კუნძულზე. ერთის წარჩინებულ აფიცრის აზრით, ამ შედეგზეა დამოკიდებული პირველ არმიის მომავალი მოქმედება.

ტოკიო. («რეიტ. სააგ»). დილით სამხრეთის ნავთსადგურში მოვიდა სულ 509 კაცი, გადარჩენილი «სადომარუ»-სა და «ჰიტაშიმარუ»-დან. «სადომარუ»-ზე ყოფილან არა სამხედრონიც, 600 კაცი, რომელთაც რუსებმა ნება დართეს გემიდან წასულიყვნენ. სად წავიდა ეს ექვსასი კაცი, ცნობილი არ არის. «სადომარუ»-ზე დარჩენილი აფიცრები და სალდათები მოემზადნენ თავის მოსაკვლელად, მაგრამ განზრახვა არ შეასრულეს, რადგან რუსები მოულოდნელად წავიდნენ. როგორც ეტყობა, «ჰიტაშიმარუ»-დან არა-სამხედრონი წასულან. რუსებმა ყუმბარები დაუშინეს ხალხით სავსე პალუბას. ვლადივოსტოკის ესკადრა ნაშუადღევს მიიმალა. ესკადრამ ნაპირს დასავლეთის მხრივ გაუარა. რუსის კრეისერებმა გაჩხრიკეს ორი სავაჭრო გემი, გადასვეს ერთზე «სადომარუ»-დან უმცროსი აფიცერი, ტომით ინგლისელი, და ნება დართეს გემებს განეგრძოთ გზა.

ლონდონი. ნიუ-ჩუანიდან იუწყებიან, რომ ოთხშაბათს გენერალი კუროპატკინი ლიაოიანიდან წავიდა, რათა თვით გაუწიოს უფროსობა რუსის იმ ჯარს, რომელიც დაშიცაოდან 15 მილის მანძილზეაო.

ლიაოიანი. მიღებულია ნამდვილი და სანდო ცნობები პორტ-არტურიდან. ივნისამდე იაპონელები არც ხმელეთიდან და არც ზღვიდან არ დასცემიან პორტ-არტურს. იაპონელებმა მეოთხედ სცადეს ნავთ-სადგურის შესავლის შეკვრა ოთხის ბრანდერით. ორი ბრანდერი ჩვენმა ბატარეიებმა მაშინვე დაღუპეს, დანარჩენები უკანვე გაბრუნდნენ, რადგან ზარბაზნებს ვერ გაუძლეს. ცნობები უცხოელ სააგენტოებისა, ვითომ იაპონელებმა ჩვენი საკანონირო გემები დაღუპეს, ყოველ საფუძველს მოკლებულია: მთელი ჩვენი ესკადრა პორტ არტურში უვნებლად სდგას. ყველა დაზიანებული გემი შეკეთებულია. ჯარი და მცხოვრებნი მშვენივრად გრძნობენ თავს. ჯარის კაცნი მოუთმენლად ელიან მტერთან შეტაკებას. ყველა დარწმუნებულია, რომ პორტ-არტურის აღება არავითარ ძალას არ შეუძლიაო. მცხოვრებთა უმრავლესობამ თოფ-იარაღი აისხა; ქალებმაც გამოუცხადეს კომენდატს, ჩვენც გვიმსახურეთო. ქალაქსა და ციხეში სამაგალითო წესიერება სუფევს. საქმეთა საზოგადო მსვლელობა სრულიად არ შეცვლილა, ვაჭრობა და მოქალაქობრივი ცხოვრება წინანდებურად სწარმოებს. გაზეთი «ნოვი კრაი» ისევ გამოდის; ალყა რო აიხსნება, ხელის მომწერთ ყველა ნომრებს შეუვსებენ. პორტ არტურში იმდენი სურსათია, რომ, თუ სრული ულუფა აძლიეს, ნახევარ წელიწადს ეყოფათ, თუ ნახევარ-ნახევარ—მთელს წელიწადს. სანამ იაპონელები ქალაქს სრულიად ალყას შემოარტყამდნენ, მოიჯარადრეებმა მოასწრეს და პორტ-არტურში დიდ ძალი საკლავი საქონელი მორეკეს. გირვანქა ხორცი ხუთ შაურად იყიდება, ერთი ბოთლი ლუდი—სამ აბაზად, შამპანური—8 მანეთად. ნიკოლოოზის ბულვარზე მუსიკა კვირაში სამჯერ უკრავს. პორტ-არტურში იმყოფებიან ქალაქ დალნის მცხოვრებნიც; მათის სიტყვით, დალნი ნაკლებად დაზარალდა ცეცხლისაგან: სახაზინო შენობებს იაპონელებმა ბეჭედი დააკრეს და დარაჯები მიუყენეს. იაპონელებმა სიკვდილით დასაჯეს ჩინელები, რომელნიც დალნის სცარცვავდნენ. პორტ-არტურში სულ 600 ქალია. იაპონელთა მოწინავე რაზმები პორტ-არტურს 24 ვერსზე მოუახლოვდნენ და სადგურ ინჩენზას უკან გამაგრდნენ. იაპონელთა და რუსთა მოწინავე რაზმებს შუა მხოლოდ სამი ვერსის მანძილია. ხანდახან სროლა ატყდება ხოლმე. რუსი აფიცრები ამბობენ, რომ იაპონელთ ძვირად დაუჯდებათ იერიშის მიტანა პორტ-არტურზე, რომლის აღება შეუძლებელიაო.

ტოკიო. ოფიციალური ცნობა. იაპონიის ხაზინამ გამოსცა ას მილიონიან სესხის მოწმობანი; ხელისმოწერით შემოვიდა 320 მილიონ იენზე მეტი.

მუკდენი. 6 ივნისს მიღებულ ცნობებიდან სჩანს, რომ იაპონიის სატრანსპორტო გემებზე—„ხიტოშიმარუ“-ზე და «სადომარუზე», რომლებიც დაღუპა ჩვენმა კრეისერებისაგან შემდგარმა ესკადრამ, დაიღუპა მთელი პოლკი ქვეითა ჯარისა თავის უფროსით და დროშით.

ასტრახანი. 5 ივნისს მრავალ ხალხის დასწრებით გემ „პეტრ ჩაიკოვსკით“ წავიდა წითელი ჯვრის ადგილობრივი განყოფილების ორი სასანიტარო რაზმი. კარვების მაგიერ რაზმებს „ჯულამეიკები“ აქვთ, რომელნიც ყირგიზებმა შემოსწირეს.

ჰელსინგფორსი. მიღებულია დეპეშა მინისტრის სტატ-სეკრეტრის პლევესაგან გენერალ ტურბინის სახელობაზე, 5 ივნისს: «ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და ყოვლად მოწყალედ დაგავალათ დროებით ასრულება ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობისა.»—მოვიდა არქიეპისკოპოსი ფინლიანდიისა და ვიბორგისა; რკინის გზის სადგურზე დახვდა გენერალიტეტი, ჯარის ნაწილების უფროსები და მრავალი ხალხი.

ლონდონი. («რეიტ. სააგ.»). ნაღმების გამანადგურებელი გემი «სპაროკოკი» წააწყდა კლდეს მდინარე იანცეკიანის შესართავში და ჩაიძირა. კომანდა გადაარჩინეს.

ბელგრადი. მეფე პეტრე შეჰხვდა ბოლგარიის მთავარს რკინის გზის სადგურზე, შევიდა პაშიჩთან ერთად ვაგონში და გააცილა მთავარი მახლობელ სადგურამდის. შეხვედრას ოფიციალური ხასიათი არ ჰქონდა.

სოფია. („კორეს. ბიურო“). ამბობენ, რომ მთავარი თავის საზაფხულო რეზიდენციაში, სიტნიკოვში, წავიდა და სოფიაში არ გაჩერდებაო.

სოფია. (ოპოზაციის მომხრეთაგან). მცოდნეთა შორის ამტკიცებენ, რომ ბერძენთა მიტროპოლიტების მოხსენებანი, ვითომ ბოლგარიის კომიტეტებს მაკედონიაში ბერძენთა სოფლის მცხოვრებლებზე ძალმომრეობა ეხმაროს, განგებ გაზვიადებულიაო. საბერძნეთის პატრიარქი მემორანდუმს ამზადებს დიდ სახელმწიფოებისათვის, მაგრამ აქ ჰფიქრობენ, ევროპის კონსულები გამოააშკარავებენ გაზვიადებულ ამბავს. საბერძნეთის სინოდმა გადასწყვიტა რუმინიის სინოდს თხოვნით მოჰმართოს, რომ რუმინიის მიტროპოლიტს გენადის, უსათუოთ აღუკრძალოს იმ ადგილებში წასვლა, რომელიც

საბერძნეთის საპატრიარქოს ეკუთნის. სამოქალაქო აგენტები ბეჯითად სთხოვენ პორტას 4000 ოსმალურ ლირს იმათთვის დასარიგებლად, რომელითაც სახლები დაუნგრიეს.

ნოვგოროდი. თავის საპატიო მოქალაქის ნიკ. ივან. ბობრიკოვის მოწამემრივ სიკვდილით თავზარ-დაცემულ ნოვგოროდელებმა გუბერნატორისა, საბჭოს ხმოსნებისა და მოქალაქეთა ორივე სქესის თანადასწრებით ქალაქის საბჭოს დარბაზში გარდაიხადეს პანაშვიდი.

მუკდენი. (საკუთ. კორესპ.). 31 მაისს პორტ-არტურთან ჩვენმა თავისუფალ მსროლელმა რაზმმა გამოდევნა იაპონელები სანგრებიდან ლუნვანტანის ხეობის აღმოსავლეთად. 1 ივნისს იაპონელები სიაობინმაოდან ლუნვანტანისაკენ სამის ბატალიონით წამოვიდნენ წინ, მაგრამ ჩვენმა რაზმმა სადარაჯო როტით ერთად, რომელიც იმ დროს პორტ-არტურიდან მოგვეშველა, შეაყენეს ისინი. კრეისერმა «ნოვიკმა» ნაღმოსნებით უკუ აქცია მტრის ნაღმოსანები და რამდენიმე სროლის შემდეგ მტრის ქვეითა ჯარი იძულებულ ჰყო უკან დაეწია.

ჰელსინგფორსი. გენერალ-ადიუტანტის ბობრიკოვის გვამი 7 ივნისს გადასვენებულ იქმნება მიძინების ტაძარში, სადაც გადიხდიან პანაშვიდსა, შემდეგ გვამს გადიტანებენ ვაგზალში პეტერბურგს გასაგზავნად.

მუკდენი. 6 ივნისი (საკუთ. კორესპ.) როგორც ჩინელნი იუწყებიან, იაპონელთა ყველა იერიში პორტ-არტურზე უკუქცეულ იქმნა დიდის ზარალითა. არის ცნობები, რომ ჩვენი მოწინავე რაზმები იაპონელებს აფერხებენ. ხმა ისმის, რომ იაპონიის ლაშქარი ლიაოდუნში ძრიელ საჭიროებს სურსათსა.

ბლაგოვეშჩენსკი. სრეტენსკიდან მოვიდა წითელი ჯვრის რწმუნებული და გამგე ბარჟების და ლაზარეთებისა ამურსა და სუნგარში ბარონი ბუდბერგი. აჩქარებით ამზადებენ ხუთს ბარჟას თითოს 150 დაჭრილისათვის. ამ დღეებში ბარჟები ხარბინს წავლენ.

ტოკიო («რეიტერის სააგენტო»). ტრანსპორტი «იცუმიმარუ» რუსებმა ჩაჰღუპეს კუნძულ ოსიმასთან 2 ივნისს. პასაჟირები და მსახურნი კრეისერ «გრომობოიმ» გადაარჩინა.

პეტერბურგი. გენერალ-ლეიტენანტს ქილინსკის 50 წლის სამსახურისათვის ებოძა ალექსანდრე ნეველის ორდენი. —დანიშნულ იქმა კომანდირი საგვარდიო ეკიპაჟისა კონტრ-ადმირალი ნილოვი ბალტიის ზღვის სანაპიროს საგერ რაზმის უფროსად.

სურამი. იწვის ქაღალდის ფაბრიკა ლოვიანოვისა და კომპ. ზარალი დიდია.

რომი. პეკინში იტალიის ელჩად ნამყოფი გალლინა დაინიშნა პეტერბურგის ელჩად.

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშა ვიცე-ადმირალის სკრიდლოვისა 6 ივნისით: «უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობას, რომ 2 ივნისს დილით კორეას სრუტეში ჩვენი კრეისერთა რაზმი მოეწია სამხრეთიდან მომავალს იაპონიის ტრანსპორტს «იცუმიმარუს». ტრანსპორტზე სამხედრო მოსამსახურენი იყვნენ. როცა გავიდა ნავების ჩასახსნელად დაწესებული ვადა, რომლითაც ერთმა ნაწილმა კამანდისამ ისარგებლა, ტრანსპორტს ვესროლეთ და დასძირა. სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მალე გამოჩნდა კიდევ ორი ტრანსპორტი—«ხიტაშიმარუ» და «სადომარუ». პირველი ჯარებითა, ხოლო მეორე ბარგის გადამზიდთა კამანდით, ცხენებითა და რკინის გზის მასალითა, რაკი დანებებაზე უარი განაცხადეს და ვადაც ნავების ჩასახსნელად და შიგ ჩასასხდომათ გავიდა, ვესროლეთ ნაღმები და ყუმბარები და გემები ჩაიძირა. იაპონელთა ზარალი: სამი ტრანსპორტი, რომელიც 15 ათასს ტონს იტევდა, ნაწილი ჯარებისა და კამანდისა, რომლებიც გემებზედ იყო და დიდ-ძალი სამხედრო სარკინის გზო ბარგი. 3 ივნისს იაპონიის ნაპირებთან შეხვდათ ინგლისის გემი «ალანტტანი», დატვირთული 6 ათას ტონნ ნახშირითა, ნახშირი მოჰქონდათ ნავსადგურ მორორიდან, რომელიც მდებარებს კუნძულ ხოკეაიდოზე, გემი სამხრეთად მიდიოდა. რადგანაც ქაღალდებმა ეჭვი აღძრეს, ამიტომ გემი ლეიტენანტ პეტროვ მე-10-ს უფროსობით და ჯარის-კაცთა დარაჯობით გაიგზავნა ვლადივოსტოკში, სადაც მივიდა კიდეც, რომ იმისი მოქმედება სამართლის წესით გაირჩეს.

7 ივნისი

მუკდენი. (საკ. კორესპ.). 7 ივნისს. წითელი ჯვრის სამკურნალოში იმყოფებიან შემდეგნი აფიცრები დაჭრილნი 1 და 2 თიბათვეს აღმოსავლეთ ციმბირის მსროლელთა პოლკებისა: 1-სა—პოდპორუჩიკი კოტოვი; 2 ს—კაპიტნები სახბიცკი, მარციშინი და ნიკოლაევი; 3-სა—კაპიტანი კოტლოვსკი და პორუჩიკი გაინსკი, სემენოვი ვასილი, რედკინი და სემენოვი მოდესტი; 35-სა—კაპიტანი კალესნიკოვი. დაჭრილი აფიცრები დაჯილდოვებული არიან მთავარ-სარდლისაგან, ორდენებით და მდაბიო ჯარის კაცები სხვა და სხვა ორდენებით.

ლიაოიანი. (საკ. კორ.). 6 ივნისს. მისის უდიდებულესობის ნებართვით მთავარ-სარდალმა გენ. ად. კუროპატკინმა დააწესა ლიაოიანში გამოცემა «ვესტნიკი მანჯურიის არმიისა» იმ განძრახვით, რომ სწორე და სწრაფი ცნობები აძლიოს და მოსპოს გავრცელება სხვა და სხვა უცნაურის ხმების გავრცელების შესახებ ომის ამბებისა. გაზეთი ეგზავნება ყველა ჯარის ნაწილებს სწრაფის ფოჩტით. სტამბა, რედაქცია და კანტორა იმყოფება და მუშაობს ვაგონში, რომლებიც ჯარს თან მისდევენ. «ვესტნიკი» გამოდის კვირაში სამჯერ. ექვსი ნომერი უკვე გამოვიდა. დღეს გამოცხადდა ხელის მოწერა მთელს იმპერიაში, მანჯურიაში და საზღვარ-გარედ. ფასი ნახევარ წლისა—ექვსი მანეთი. „ვესტნიკს“ დიდი გასავალი აქვს ლიაოიანში. თანამშრომლობენ ჯარის აფიცრები და სამხედრო კორესპონდენტები; რედაქტორად დანიშნულია სამხედრო კორესპონდენტი უწინდელ ჩინეთის ომისა—იანჩევეცკი. აქ ამინდი გაფუჭდა: განუწყვეტლივ წვიმს. ტალახის გამო გზებზე არ გაივლება, და ეს გარემოება დიდხანს შეაფერხებს იაპონელების წინ წასვლას.

ჰელსინგფორსი. ორშაბათს, 7 ივნისს გამოიტანენ გენერ. გუბერნ. ბობრიკოვის გვამს სახლიდან მიძინების ტაძარში. პანაშვიდის შემდეგ წაასვენებენ პეტერბურგს, სადაც მივა დილის 7 საათზედ. გზაზედ, ვიბორგში იქმნება მცირე პანაშვიდი.

დრეზდენი. კოროლს ძალა მოემატა და წაბრძანდა ემსს.

ტოკიო. (რეიტ. სააგენ.-ს) კორესპონდენტი დაწვრილებით აღწერს ვაფინგოუს ომს. რუსებს ეჭირათ საუკეთესო პოზიცია და ამით უთანასწორდებოდნენ იაპონელებს; რომელთაც მეტი ჯარები ჰყავდათ. რუსთა პოზიცია მიიმართებოდა აღმოსავლეთიდან დასავლეთად და გადახარიხებული იყო ვიწრო ხეობაზედ, რომელშიაც რკინის გზაა გაყვანილი და ფუჯოუს მდინარე მიმდინარეობს. გენერალმა ოქუმ აიძულა რუსნი, მთებისათვის თავი დაენებებინათ და ხეობაში შეკრებილიყვნენ. პირველად აიტანეს მარჯვენა და მერე მარცხენა ფრთედი. მარცხენა ფრთედზედ თავგანწირული ბრძოლა იყო. რუსები იმაგრებდნენ პოზიციას უძლეველის სიმამაცით და უკან დაიხიეს მხოლოდ მაშინ, როცა თითქმის სულ გარშემორტყმულ იქმნენ და 600 მოკლული დასტოვეს ბრძოლის ველზედ.

ოქუმ გასცა ბრძანება ზედ მიტევებისა 31 მაისს. ჯარი რომ რაზმად გაემართა რკინის გზის მხარდამხარ და მდინარე ტასახოს აყოლებად. კავალერია კი ბიძივოდგან გაემართა. ბრძოლა დაიწყო ნაშუადღევის 3 საათზედ 1 ივნის ზარბაზნების სროლით. რუსებს ჰქონდათ 98 ზარბაზანი, რომელნიც გამუდმებული ისროდნენ ყუმბარებს საღამომდე. ღამე იაპონელებმა დაიჭირეს სერი თეუნ-შიატუნსა და ვენშიატუნს შორის, აგრეთვე სერი ტიანჯოუდან დასავლეთად. ნაწილი იაპონიის შუაგულ ჯარისა მიდიოდა ფუჯოუს მდინარის აყოლებად და ძრიელ დაზარალდა რუსთაგან. ამის გამო ქვეითი არტილერია გაუგზავნეს მისაშველებლად. შეერთებულმა ძალამ განდევნა რუსნი ტაფანგშანიდან, მაგრამ წინ დახვდა რუსის ზარბაზნები. იაპონელებმა მაინც დაიჭირეს მაღლობი ადგილები და ხელთ იგდეს ბატონობა გარემოთა. იაპონიის მარჯვენა ფრთა-კი ძრიელ შეავიწროვა რუსთა მარცხენა ფრთედის ტყვია-ყუმბარებისაგან. რუსთა მაშველ ჯარების მოსვლის შემდეგ უფრო მედგრად დაიწყეს დაცვა პოზიციებისა, ვიდრე შუბლსა და ორს ფრთედს ყოველ მხრიდან დაუშენდნენ ტყვია ყუმბარას. როცა რუსის ჯარმა უკან დაიწია, იაპონიის კავალერიამ სცადა უკან დასდევნებოდა, მაგრამ დაბრკოლება დახვდა და ველარ განაგრძო დევნა. იაპონელებმა დაჰკარგეს 900 კაცი, მათ შორის 8 აფიცერი მოკლული და 14 დაჭრილი. «იცუმიმარუს» ჩაღუპვის შემდეგ, რუსის ესკადრა წავიდა ხოკაიდოსაკენ. იალქნიანი გემები «იავიზა და ანსეი» ჩაუღუპავთ ზღვაში 3 ივნისს კუნძულ ოქუსა და კოშიმას შორის. 37 კაცი გადარჩა და მივიდნენ იესაში. სულ ვლადივოსტოკის ესკადრამ 5 გემი დაჰღუპა, მიიმალა ჩრდილოეთისაკენ. არავინ იცი, კამიმურა სდარაჯობს თუ არა ვლადივოსტოკის ესკადრას.

თუმცა ბურუსი ხელს უშლიდა. მაგრამ კამიმურას შეეძლო ვლადივოსტოკში რუსებზე ადრე მისულიყო და ზღვაზედ იმათ ესკადრას შებმოდა. როდესაც «სადომარუ» და «ხიტაშიმარუ» რუსებმა ხელთ ჩაიგდეს, ვლადივოსტოკის სრუტეში იაპონიის 13 სატრანსპორტო გემები იდგა. რუსეთის ესკადრის გამარჯვებამ კამიმურას სახელი გაუტეხა, რადგანაც მას ვლადივოსტოკის ესკადრა გამოეპარა გენზანიდან „კაშიომარუ»-ს დაღუპვის შემდეგ. ხმა დადის, რომ თუ ეხლაც რუსეთის ესკადრას შემთხვევა მისცა ვლადივოსტოკში უზარალოდ დაბრუნების, იგი იძულებული იქმნება სამსახურს თავი დაანებოს, ან თავი მოიკლას ხალხში მოძრაობა მატულობს მის ადგილას სხვა პირის დანიშვნაზედ. საზოგადოება უფრო ააღელვა იმ ცნობამ, რომ რუსებმა შეიპყრეს ინგლისის გემი, რომელიც ნახშირით იყო დატვირთული, და ზაკვაიდოდან მოდიოდა. და ვლადივოსტოკს წაიყვანეს, როგორც სჩანს, სატრანსპორტო გემი «ხიტაშიმარუ» არ დასთანხმდა რუსების ბრძანებას, რომ გაჩერებულიყო, და ამის გამო მგზავრებს რუსებმა თოფი დაუშინეს. არ გამორკვეულა ის ამბავი, ვითომც რუსებს თოფი დაეშინოს ჯარისთვის, რომელიც ნავებში გადასხდნენ. „დაილი ტელეგრაფის» კორესპონდენტს, რომელიც, გემ «მანჯურიაზე» არის უნახავს მაცუიამში დატყვევებული, რუსები რომელთა რიცხვი 592-დეა ამათში 28 აფიცერი. ამ რიცხვში 241 ჯარის-კაცი ტყვედ, წაუყვანიათ ილუდან და ნანშანიდან. და ტყვეები ხელის შეწყობით არიან დაშინავებული ეკლესიებში; აფიცრების სადგომი ევროპიულად არის მოწყობილი ჯარის კაცები იაპონურად სცხოვრებენ და ეძლევათ რუსის შავი პური.

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

გამოსადეგნი ცნობანი:

პეტერბურგის ბირჟა

4 ივნისი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	—
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	—
ბერლინში ,,	—
პარიჟში ,,	—
ბირჟის დისკონტი	6—7½%
4% სახელმწიფო რენტა	91¼ წვ. გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	87¼ წვ. გაყ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	369 წვ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	288 წვ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	254 წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	83¼ წვ. გაყ.
5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—

განცხადებანი

საცხენისის პირველ-დაწყებით სასწავლებელში (სოფელ ყვარელშია) არის 45 თავისუფალი სახელმწიფო ვაკანსია ამიერ კავკასიის თავად-აზნაურთა და სხვა საპატიო წოდებათა შვილებისათვის. მიიღებენ ბავშვებს 8—10 წლისას.

მსურველთ თხოვნები უნდა მიართვან კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს; თხოვნასთან ერთად უნდა წარადგინონ აგრეთვე დაბადებისა, ჩამომავლობისა, სიღარიბისა და ექიმის მოწმობანი.

(3—6—1).

ვისაც კი გსურთ აიცილოთ გაქურდვადა და მშვიდებული იყვეთ **იყიდეთ**, მარტო 4 მან. 90 კაპ., საიუდამო, უკეთესად შემუშავებული ავტომატიური ხმაურობის გამომწვეველი აპარატი „**ენდოლიანსი**“, მოწონებული ფინანსთა სამინისტროს მიერ № 13,884.

შეგიძლიანთ დაჰკეტოთ ყოველ გვარი სადგომი და საწყობი, ისინიც კი, რომლებიც იმყოფებიან თქვენგან მოშორებით. შეგიძლიანთ აგრეთვე წახვიდეთ სადმე დულ-გამშვიდებული, რომ არ გეშინოდეთ ქურდებისა. „**ენდოლიანსი**“ აძინებს როგორც შიგნით, ისე გარეთ მყოფთაც. რაწამს დაუპატიჟებელი სტუმარი შეხებს კარებს, ფანჯარას ანუ კარებს გასაღებად, აპარატი „**ენდოლიანსი**“, გარედგან შეუმჩნეველი, გამოიწვევს საშინელ ხმაურობას, მარტო თოფის წამლის აფეთქებით, საშიში არ არის. ხმაურობა ისმის სადგომის შიგნითაც და გარეთაც და აგრედვე შორ მანძილზედაც. თუ სადგომის პატარა ზარს შეაერთებთ აპარატთან, მაშინ აპარატის ხმაურობასთან ერთად ზარი დაიწყებს წკარუნს, რომელ სადგომშიაც უნდა იყოს, და არ შეჩერდება ვიდრე სახლის პატრონთაგანი ვინმე არ შეაჩერებს.

„**ენდოლიანსი**“ საჭიროა საყდრებისა, სახლებისა აგარაკებში, მაღაზიებისა, ბეღლებისა, ჩარდახებისა, სარდაფებისა, მარნებისა, თავლებისა და სხვა სადგომების გაქურდვისაგან დასაცველად. როგორ ადგილშიაც უნდა იყოს სადგომი, სულ ერთია. ეს აპარატი მაგარი ნამუშავარია და ყველას ადვილად შეუძლიან იხმაროს.

ფასი გაგზავნით: ნიკელ გადაკრული აპარატი ჰყირს 4 მან. 90 კაპ., შევერცხლილი—5 მან. 60 კაპ.; ფასს დადებით 10 კაპეიკით მეტი ჰღირს, აზიის რუსეთში კი 30 კაპეიკით მეტი. ვინც ციმბირში გაიწერს, უნდა გამოგზავნოს 2 მანეთ. შეიძლება ფოშტის მარკებით.

მსურველთ მოითხოვონ ამ ადრესით: Т-во „Эндолянъ“. Варшава, Милая 37/105.

განსაკუთრებითი ნაწარმოება.

(5—6—)

ზღვაზე, მდინარეებზე და ხმელეთზე ბარგის გადაზიდვისა და დამზღვევის ს.-პეტერბურგის კომპანიის

„ნადეჟდა“-ს

ფილისის სააგენტო ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ სააგენტოს საქონლის მთავარი საწყობი, რომელიც აქამომდე იმყოფებოდა ზუბალოვის სახლებში, კათოლიკეთა ქუჩაზე, 1904 წლის

11 აპრილიდან გადატანილ იქნება

მანთაშოვის ახალ ქარვასლაში, სომხის ბაზარში.

შესასვლელი ეგზარხოსის მოედნიდან, სახელოსნო სასწავლებლის პირდაპირ.

საქონლის მიღება შეიძლება ყოველ დღე კვირა დღეების გარდა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის ორ საათამდის და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე.

საწყობის ტელეფონი № 370. სააგენტოს ტელეფონი № 108. (5—6.—5)

რაღა საჭიროა ოქრო და ბრილიანტი

როცა შეიძლება შეძენა ჩვენის სავაჭრო სახლისაგან

მხოლოდ 5 მან. 50 კაპ. გამოგზავნით

გარნიტურისა, რომელშიაც იქნება 4 ლამაზი ნივთი: 1) ბრასლეტი, 2) ბროშკა, 3) წყვილი მოზრდილი საყურე, 4) ბეჭედი ყველა წმინდა ვერცხლისა, 84 დამღისა, კარგად ცურვილი, ბრძმედ გამოვლილი ოქროში ელექტრონის წესით და მოოჭვილი გარშემო პარიჟის ბრილიანტებით, რომელიც (შუა-გულ ქვას) ზურმუხტს, საფიროზს, ამეთვისტოს (ვისაც რომელი სურს) შემორტყმული აქვს გარს; ნივთები ხელოვანებით არის გაკეთებული და ბაჯაღლო ოქროში ვერ გამოარჩევთ. ბრილიანტებსაც ისეთი წყალი და ჯავარი აქვს, რომ არ ჩამოუვარდება 200 მანეთად ღირებულ ძვირფას ბრილიანტებს. ყველა ეს ნივთები თამამად გასწევს ოქროს ნივთებისა და ბრილიანტების მაგიერობას.

ნივთები გაგზავნით ეღირება მხოლოდ 5 მან. 50 კაპ,

იაფი გარნიტური

მხოლოდ 4 მან. 45 კაპ. გაგზავნით

ვგზავნით 5 შემდეგს ნივთს: 1) კაცის საათს, საუკეთესოდ მოოქროვილს. ძნელი გასარჩევია ოქროში, ან შავის გამოწრთობილის ფოლადისას, კაცისა ან ქალისა მაგარის ხაზინით და 6 წლის ბუღდავანობით; 2) ახალ ოქროს ძეწკვს პრტყელს (პანცირისას) ან ქალისას, ყელზედ საკიდს; 3) ბრელოკს, კომპასს ან ბინოკლს ან ვენზელს, 4) საწერ იარაღს-რომელშიაც არის ლითონის ტარი, კალამი, ყარანდაში, შტემპელი სახელისა, მამის სახელისა და გვარისათვის; ზედ ამოიჭრება ორი ასო ბეჭედისათვის, 5) მეშის კოხტა ქისას სხვადასხვა გვარ ფულისათვის ან ტყავის, პორტმონეს ქალისათვის; ასახდელი საათიცაა; სახურავიანი ვისაც უნდა, დაუმატებს 1 მან. 50 კ.

ვინც ორივე გარნიტურს დაიბარებს, უნდა გამოჰგზავნოს მხოლოდ 8 მან. 90 კაპ.

მოთხოვნილება დაუყოვნებლივ შესრულდება და ნივთები გაეგზავნება ადრესატებს უბეოდ, ფას-დადებით. ადრესი:

Торгово-транспортному дому Т-во „Парижскій Лувръ“. Варшава $^{32}/_{323}$

აზიის რუსეთში დ ციმბირში გაგზავნისათვის საჭიროა ბეს გამოგზავნა (შეიძლება მარკებით და ფასის მიემატება წონისამებრ. (3—6—3)

სწორედ მუქთია,

იტყვის ყველა, ვინც გამოიწერს ჩვენგან

მხოლოდ **5 მ. 45 კ.** ჩვენისავე გაგზავნით.

უგზავნით 7 შემდეგს ნივთს: 1) **საათი** გაშავებული ფოლადისა, ქალისა ანუ კაცისა, მაგარის მექანიზმით, სწორის მუშაობით, 6 წლის ვადით ბუღდავანობით; 2) მე[illegible]ის ბუდე საათისთვის; 3) **ძეწკვი** საათისა, ქალისა ანუ კაცისა; 4) **ბრელოკი** ახალა. ოქროსი „კომპასი“, ანუ «ბინოკლი» საინტერესო სანახავით ან სხვ.; 5) ტყავის ქისა ფულისთვის მთელის ნაჭრისა, 7 განყოფილებით და მყიდველის ბეჭდით; 6) **მუშტუქი** დ-რის კოხისა თამბაქოს მწეველთათვის, ანუ კალმის დანა; 7) **ოქროს ბეჭედი** 56 რობისა ან ჯიბის ელექტრონის ფარანი, ანუ ტყავის პორტსიგარი ან მეშის ჩანთა ამარზე ჩამოსაბმელი. თავსახურავიანი საათი გაეგზავნება, ვინც 6 მ. 75 კ. გამოგზავნის.

შეკვეთილი ნივთები გაეგზავნებათ დაუყოვნებლივ და კეთილ სინიდისიერად ბეს გამოგზავნა საჭირო არ არის, ნივთები ფასდადებით გაეგზავნებათ.

ადრესი: **სავაჭრო სახლი ფელიკიანი და კომპ., ვარშავა, 36—333**

P. s. აზიის რუსეთსა და ციმბირში ნაწილი გზის ხარჯისა მყიდველთ გადახდებათ და ნივთებიც მხოლოდ წინადვე ბეს მიღების შემდეგ გაეგზავნებათ. 3—6—2)

Дозволено цензурою Тифлисъ 7 iюня 1904 г.

Тип Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинарiи